



მსხვილფეხა რქოსანი საქონლის
დაზღვევის პირობები
(ხელშეკრულება)

-

UNISON MRP - 2019

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

| | |
|---|--|
| მზღვეველის დასახელება | სს “სადაზღვევო კომპანია უნისონი“ |
| დაზღვევის ხელშეკრულების სახე | მსხვილფეხა საქონლის დაზღვევის პირობები |
| დაზღვეული რისკის აღწერილობა და სადაზღვევო დაფარვის პირობები | <p>მზღვეველი აუნაზღაურებს დამზღვევს პოლისში მითითებული მსხვილფეხა საქონლის სიკვდილიანობის შემთხვევაში მიყენებულ ზარალს, რომელიც პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის მოქმედების პერიოდში შემდეგი რისკებით არის გამოწვეული:</p> <ul style="list-style-type: none"> • უბედური შემთხვევა, რომელიც შედეგია ხანძრის, ელვის (მეხის) დარტყმის, წყალდიდობის, ქარიშხლის, მიწისძვრის, ელექტროდენის, ავტოსაგზაო შემთხვევის და გამოიწვია საქონლის სიკვდილი; • ქურდობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია დამნაშავე პირი. • საქონლის ინფექციური დაავადებების ცოფისა და ჯილეხის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია საქონლის სიკვდილი, რა დროსაც მფლობელის მიერ წარმოდგენილ უნდა იყოს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გაცემული ლაბორატორიული გამოცდის ოქმი (მკვდარი საქონლის საყურე ნიშნის მითითებით). • გარეული მტაცებელი ცხოველების თავდასხმის შედეგად გამოწვეული სიკვდილი. • ქირურგიული დაავადებები რომელთა მკურნალობა ეკონომიკურად არ არის გამართლებული ან/და არის სიცოცხლისათვის შეუთავსებელი (მოტეხილობა, დაჟეჟილობა, ჭრილობები, თიაქარი); • ტრავმული პერიკარდიტი რომელსაც იწვევს ლითონის ლურსმანი, მავთული და სხვა მჭრელი/ბასრი საგნების გადაყლაპვა; • ტიმპანია, რომელსაც იწვევს სველი იონჯას და სხვა პარკოსნების, ახალი ბალახის საკვებად გამოყენება, • გართულებული გინეკოლოგიური დაავადებების გამო (გართულებული მშობიარობა, საშვილოსნოს გამოვარდნა, საშვილოსნოს ყელის გახევა, საშვილოსნოს გახევა); |
| პრემიის გარდა მომხმარებლის მიერ ნებისმიერი სხვა ფინანსური | 1. თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სადაზღვევო პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის გამო გასაცემია დამზღვევზე (მოსარგებლეზე) სადაზღვევო ანაზღაურება, მზღვეველი |

| | |
|---|---|
| | <p>მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ ანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.</p> |
| <p>მზღვეველთან პრეტენზიის წარდგენის ფორმები; პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წყარო; მაქსიმალური ვადა პასუხის მიღებისთვის შესაბამისი ფორმით გამოხატულ პრეტენზიაზე; მზღვეველის სტრუქტურული ქვედანაყოფი, სადაც შესაძლებელია პრეტენზიის წარდგენა;</p> | <ul style="list-style-type: none"> • ნებისმიერი პრეტენზიის დაფიქსირების შემთხვევაში, დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია მიმართოს მზღვეველს წერილობით (იხ. www.unison.ge), პრეტენზიის წარდგენის ფორმა და პროცედურა; • „პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია შემდეგ ელ-ფოსტაზე: shenikhma@unison.ge, ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე: (+995 32) 2 991 991 “ <p>• პასუხის მიღების მაქსიმალური ვადა 5 სამუშაო დღე.</p> |
| <p>მითითება დაზღვევის გამონაკლისი პირობების მომწესრიგებელ მუხლებზე და იმ პირობების ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებიც მზღვეველის ვალდებულებებისაგან გათავისუფლების საფუძვლებს ითვალისწინებს. ასევე მითითება დაზღვევის უჩვეული გამონაკლისი პირობებზე, რომლებიც ჩვეულებრივ უცხოა მსგვსი ტიპის ხელშეკრულებებისათვის.</p> | <p>იხილეთ სრულყოფილი ჩამონათვალი ხელშეკრულების მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებში.</p> |
| <p>მზღვეველის საზედამხედველო ორგანო</p> | <p>სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“; მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის N34 ტელ : +995 32 223 44 10</p> |

მსხვილფეხა საქონლის დაზღვევის პირობები

1. საერთო პირობები

1.1. წინამდებარე დაზღვევით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენს მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის პოლისის განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე პირობები, შესაბამისი დაზღვევის პოლისი და თანდართული დოკუმენტაცია მოიაზრება როგორც ერთი დაზღვევის ხელშეკრულება დამოწმებული ორივე მხარის მიერ;

1.2. წინამდებარე პირობებსა და შესაბამისი დაზღვევის პოლისს შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება დაზღვევის პოლისს.

2. ტერმინთა განმარტება

მზღვეველი - საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შესაბამისი ლიცენზიის მქონე სუბიექტი (იურიდიული პირი) - ამ შემთხვევაში სს სადაზღვევო კომპანია უნისონი

დამზღვევი - ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც დებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან, მითითებულია სადაზღვევო პოლისში როგორც დამზღვევი და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

დაზღვევის საგანი - ყველა მსხვილფეხა საქონელი, რომელსაც დამზღვევი ინახავს/ამრავლებს და გააჩნია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული მაიდენტიფიცირებელი საყურე ნიშანი, ან/და იმპორტირებული მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში ცხოველს რომელსაც აქვს თავდაპირველი საიდენტიფიკაციო ნომერი.

მსხვილფეხა საქონელი - საკუთრივ ძროხა, კამეჩი, მოშენებული გარეულიდან - ზებუ, იაკი; **სადაზღვევო პოლისი** - დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც თან ერთვის სადაზღვევო დაფარვის პირობები და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

სადაზღვევო თანხა - სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური სიდიდე -

სადაზღვევო ლიმიტი - მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალი;

სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც უნდა გადაუხადოს დამზღვევმა მზღვეველს ქონების დაზღვევის საფასურად - დაზღვევის ღირებულება. პრემიის ოდენობა განისაზღვრება ქონების დაზღვევის შესაბამისი პოლისით;

ფრანშიზა - თანხა, რომელსაც არ ანაზღაურებს მზღვეველი და აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას თითოეულ და ყველა შემთხვევაზე;

ადგილმდებარეობა - ფერმა, დამზღვევის მიერ დასახელებული არეალი, სადაც მსხვილფეხა საქონელია განთავსებული და სარგებლობს სამოვრებით.

ხანძარი - ზიანის გამომწვევი, წვისთვის განკუთვნილი ადგილის გარეთ წარმოშობილი, თვითგავრცელების უნარის მქონე ცეცხლი.

საქონლის ასაკი - დროის პერიოდი, რომელიც გავიდა ცხოველის დაბადებიდან ზარალის წარმოქმნის

დღემდე.

იდენტიფიკაცია - მსხვილფეხა საქონლისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება და ნიშანდება (იმპორტირებულ მსხვილფეხა საქონელს საიდენტიფიკაციო ნომერი უნარჩუნდება);

ნიშანდება - მსხვილფეხა საქონელის ყურებზე საყურე ნიშნის მიმაგრება;

საყურე ნიშანი - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით დამზადებული ნიშანი, რომელზეც განთავსებულია საიდენტიფიკაციო ნომერი და გამოიყენება მსხვილფეხა საქონლისათვის იდენტიფიკაციისათვის;

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეული რისკებით გამოწვეული შემთხვევა, რომლის დროსაც მზღვეველს წარმოეშვება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება

ქარიშხალი - ქარი, რომლის სიჩქარე მინიმუმ 25 მ/წმ-ია, რაც გაზომილი და ჩაწერილი უნდა იყოს უახლოეს ოფიციალურ მეტეოროლოგიურ სადგურში.

ვეტერინარი ექიმი - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, სათანადო უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

დაზღვეული ტერიტორია - წინამდებარე დაზღვევით იფარება მხოლოდ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მათ შორის საქონლის სეზონურ სამოვრებზე მიგრაციის პერიოდში (საქონლის ვეტერინარული მოწმობა ფორმა #1 თანხლებით გადაადგილების შემთხვევაში)

უბედური შემთხვევა - უეცარი, დაუგეგმავი და მოულოდნელი შემთხვევა, რომელსაც მოჰყვა დაზღვეული საქონელის სიკვდილი, შეიძლება იყოს გამოწვეული ხანძრით, ელვით, წყალდიდობით, ქარიშხლით, მიწისძვრით, ელექტროდენით, ავტოსაგზაო შემთხვევით, (ავტოავარიის შემთხვევაში თუ წარმოდგენილი იქნება საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ოქმი მკვდარი საქონლის საყურე ნიშნის მითითებით).

დაავადება - კლინიკური ან/და პათოლოგიური გამოვლინება, აგრეთვე სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების (ცხოველმყოფელობის) დარღვევა რომელიც მიზეზობრივ კავშირშია საქონელის დაავადებასთან ან სიკვდილიანობასთან, რაც დადასტურდება ვეტერინარის ან/და მის მიერ ამ საქონლიდან აღებულ ნიმუშებში ლაბორატორიული გამოცდის შედეგად. დაზღვევა ფარავს დაავადებებს:

ა) ქირურგიული დაავადებების შემთხვევაში რომელთა მკურნალობა ეკონომიკურად არ არის გამართლებული ან/და არის სიცოცხლისათვის შეუთავსებელი (მოტეხილობა, დაჟეჟილობა, ჭრილობები, თიაქარი); ტრავმული პერიკარდიტის შემთხვევაში, რომელსაც იწვევს ლითონის ლურსმანი, მავთული და სხვა მჭრელი/ზასრი საგნების გადაყლაპვა; ტიმპანის შემთხვევაში, რომელსაც იწვევს სველი იონჯას და სხვა პარკოსნების, ახალი ბალახის საკვებად გამოყენება; გართულებული გინეკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში (გართულებული მშობიარობა, საშვილოსნოს გამოვარდნა, საშვილოსნოს ყელის გახევა, საშვილოსნოს გახევა). რომლების შედეგად საქონელი უნდა იყოს დაკლული, მაგრამ ხორცის გამოყენება და რეალიზაცია დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) საქონლის ცოფის, ჯილეხის დაავადებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში (თუ ამ დაავადებების საწინააღმდეგოდ სახელმწიფო პროგრამით არ იყო გათვალისწინებული ვაქცინაცია).

3. სპეციალური პირობა

მზღვეველის ვალდებულების შესრულებას წინ უნდა უძღვოდეს:

სამეურნეო საქმიანობის თადარიგიანი მართვა - დაზღვევის ძალაში შესვლამდე საქონელი უნდა იყოს კლინიკურად ჯანმრთელი. დამზღვევემა უნდა გამოიჩინოს სათანადო გულმოდგინეობა, უნდა უზრუნველყოს ამ პოლისით დაზღვეული საქონლის სათანადო მოვლა და დაიცვას ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა წესი ისე, რომ შეამციროს ან თავიდან აიცილოს ნებისმიერი ზარალი ან ზიანი. ამასთან უნდა სრულდებოდეს რეკომენდირებული ან მოთხოვნილი ვაქცინაციის პროგრამები. დაზღვევის მომენტისათვის ყველა ცხოველის იდენტიფიცირება ცხადად უნდა ხერხდებოდეს საყურე ნიშნის მიხედვით.

4. სადაზღვევო რისკები:

მზღვეველი აუნაზღაურებს დამზღვევეს პოლისში მითითებული მსხვილფეხა საქონელის სიკვდილიანობის შემთხვევაში მიყენებულ ზარალს, რომელიც პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის მოქმედების პერიოდში შემდეგი რისკებით არის გამოწვეული:

- 4.1. უბედური შემთხვევა, რომელიც შედეგია ხანძრის, ელვის (მეხის) დარტყმის, წყალდიდობის, ქარიშხლის, მიწისძვრის, ელექტროდენის, ავტოსაგზაო შემთხვევის და რომელმაც გამოიწვია საქონლის სიკვდილი;
- 4.2. ქურდობა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია დამნაშავე პირი.
- 4.3. საქონლის ინფექციური დაავადებების ცოფისა და ჯილეხის შემთხვევები, რამაც გამოიწვია საქონლის სიკვდილი, რა დროსაც მფლობელის მიერ წარმოდგენილ უნდა იყოს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გაცემული ლაბორატორიული გამოცდის ოქმი (მკვდარი საქონლის საყურე ნიშანზე არსებული ნომრის მითითებით).
- 4.4. გარეული მტაცებელი ცხოველების თავდასხმის შედეგად გამოწვეული სიკვდილი.
- 4.5. ქირურგიული დაავადებები რომელთა მკურნალობა ეკონომიკურად არ არის გამართლებული ან/და არის სიცოცხლისათვის შეუთავსებელი (მოტეხილობა, დაჟეჟილობა, ჭრილობები, თიაქარი);
- 4.6. ტრავმული პერიკარდიტი რომელსაც იწვევს ლითონის ლურსმანი, მავთული და სხვა მჭრელი/ზასრი საგნების გადაყლაპვა;
- 4.7. ტიმპანია, რომელსაც იწვევს სველი იონჯას და სხვა პარკოსნების, ახალი ბალახის საკვებად გამოყენება
- 4.8. გართულებული გინეკოლოგიური დაავადებების გამო (გართულებული მშობიარობა, საშვილოსნოს გამოვარდნა, საშვილოსნოს ყელის გახევა, საშვილოსნოს გახევა);

5. ძირითადი პირობები

5.1. მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობაა შემდეგი პირობების შესრულების დაცვა:

- დამზღვევი ვალდებულია საქონელი უზრუნველყოს სათანადო კვებით, წყლით და თავშესაფარით.

- დამზღვევის მოვალეობაა, უზრუნველყოს ნებისმიერი მკურნალობის და/ან ვაქცინაციის ჩატარება კვალიფიციური ვეტერინარი ექიმის (ან მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი გამოცდილი პერსონალის) მიერ.
- დამზღვევი ვალდებულია, შეინარჩუნოს საქონელი იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც იყო სადაზღვევო რისკის დადგომის მომენტში, თუ მზღვეველის წარმომადგენლისაგან სხვაგვარი ინსტრუქცია არ არის გაცემული.
- შემთხვევის დადგომისას (გარდა ქურდობისა), დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოადგინოს - დაზღვევის ობიექტის გადარჩენილი ნაწილი, არანაკლებ 30%-სა.

5.2. **არასწორი აღწერა** - პოლისი ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუ რაიმე სახის არასწორ აღწერას და/ან დამახინჯებას და/ან დამზღვევისათვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტის დამალვას აქვს ადგილი, რაც მზღვეველისათვის რისკის შესაფასებლად აუცილებელია. ამ შემთხვევაში მზღვეველი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე სახის ზარალზე.

საქონელი რომელიც შეიძლება დაეზღვეს - დაზღვევას ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იდენტიფიცირებული მსხვილფეხა საქონელი, ან/და იმპორტირებული მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში ცხოველს რომელსაც აქვს თავდაპირველი საიდენტიფიკაციო ნომერი, ყველა შემთხვევაში საქონელი უნდა იყოს 1 წელზე მეტი ასაკის.

5.3. **საქონელი, რომელიც დაზღვევას არ ექვემდებარება**:- დეფექტური, არაჯანსაღი, დაზიანებული, კლინიკური ნიშნების მქონე დაავადებული საქონელი არ ექვემდებარება დაზღვევას

5.4. **ინსპექტირება** დამზღვევმა ნება უნდა დართოს მზღვეველის ნებისმიერ უფლებამოსილ წარმომადგენელს, ნებისმიერ დროს შეისწავლოს დაზღვეული საქონელი და ცხოველების განთავსების ადგილმდებარეობები. დამზღვევი ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება, შეასრულოს ყველა გონივრული წესები და ინსტრუქციები, რომლებსაც დროდადრო ადგენს/იძლევა მზღვეველი.

5.5. ზარალის შეტყობინება და პრეტენზიის პროცედურა

ა) უბედური შემთხვევისას და/ან დაავადების შემთხვევაში დამზღვევმა საკუთარი ხარჯით ოცდაოთხ (24) -საათიან ვადაში უნდა მიიღოს კვალიფიციური ვეტერინარული პერსონალის დახმარება და უზრუნველყოს საქონელის სათანადო მკურნალობა.

საქონლის უბედური შემთხვევის, დაავადების ან სიკვდილის შემთხვევაში დამზღვევმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ეს მზღვეველს ცხელი ხაზის საშუალებით **032 2 991 991** და თხუთმეტი (15)), ხოლო ცოფის დაავადებით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში ოცდაათი (30), დღის ვადაში მიაწოდოს მზღვეველს ზარალის ანაზღაურებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია.

ბ) დამზღვევმა აგრეთვე საკუთარი ხარჯებით უნდა მოიპოვოს და გადასცეს მზღვეველს ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის სიკვდილის მიზეზების, გადაუდებელ დაკვლასთან დაკავშირებული, ლაბორატორიული გამოკვლევის ანგარიშები, ოქმები/დოკუმენტები, საკმარისი მტკიცებულებები საქონლის იდენტიფიკაციისა და ღირებულების შესახებ, დაწვრილებითი ანგარიშები, სპეციფიკაციები, სააღრიცხვო წიგნები, ცნობები, ანგარიშ-ფაქტურები, მათი დუბლიკატები ან ასლები, მტკიცებულებები და ინფორმაცია, რომლებიც დაკავშირებულია პრეტენზიასთან, ზარალის წარმოშობასა და მიზეზთან, და ნებისმიერი რამ, რაც კომპანიის მიერ ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას და მის მოცულობას ეხება, ანუ ყველაფერი ის, რაც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება იქნას მოთხოვნილი კომპანიის მიერ ან მისი სახელით პრეტენზიასთან ერთად და მასთან დაკავშირებით.

გ) სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა შემთხვევის იდენტიფიცირების, ყველა საჭირო დოკუმენტაციის არსებობისა და შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად აღიარების შემდგომ.

დ) ზარალის ანაზღაურების თაობაზე სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში ორივე მხარის თანხმობით ფორმდება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომლის ხელმოწერის შემდგომ ზარალის ანაზღაურება განხორციელდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.6. ანაზღაურების მისაღებად დამზღვევის ვალდებულებები:

5.6.1. დამზღვევის მიერ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი წესით წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მინიჭებული მაიდენტიფიცირებელი საყურე ნიშანი, რომელზეც უნდა იკითხებოდეს საიდენტიფიკაციო ნომერი, ან იმპორტირებული მსხვილფეხა საქონლის შემთხვევაში ცხოველის თავდაპირველი საყურე ნიშანი საიდენტიფიკაციო ნომერის აღნიშვნით.

ბ) პირადობის მოწმობის ასლი.

გ) საბანკო ანგარიში.

5.6.2. ქურდობის შემთხვევაში:

ა) დამზღვევი ვალდებულია დაუყოვნებლივ განუცხადოს სამართალდამცავ ორგანოებს და მზღვეველს, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, გარდა რაიმე გარემემშლელი საპატიო მიზეზების გამო, თუ ვერ მოხდა დაკავშირება.

ბ) შეასრულოს სამართალდამცავ ორგანოთა მიერ მიცემული ყველა რეკომენდაცია.

5.6.3. უბედური შემთხვევის დროს, რომელიც შედეგია ხანძრის, ელვის (მეხის) დარტყმის, წყალდიდობის, ქარიშხლის, მიწისძვრის, ელექტროდენის, ავტოსაგზაო შემთხვევის და გამოიწვია საქონლის სიკვდილი - ავტოსაგზაო შემთხვევის შემთხვევაში 5.6.1. პუნქტში მითითებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტაციასთან ერთად დამზღვევის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ოქმი, ხოლო ყველა სხვა შემთხვევებზე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ან ვეტერინარი ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი. მკვდარი საქონლის საყურე ნიშნის მითითებით და ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტომასალა.

- ქვემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი რისკის შესაბამისად დამდგარი ზარალის ანაზღაურებისთვის 5.6.1. პუნქტში მითითებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტაციასთან ერთად დამზღვევის მიერ აუცილებელი წესით წარმოდგენილი უნდა იქნას ვეტერინარი ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი საქონლის საყურე ნიშანზე არსებული ნომრის მითითებით და ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტომასალა.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია შემდეგ შემთხვევებში:

- 1) ქურდობის შემთხვევაში- სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილია დამნაშავე პირი.
- 2) ავტოსაგზაო შემთხვევაში - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ოქმი მკვდარი საქონლის საყურე ნიშნის მითითებით)
- 3) საქონლის ინფექციური დაავადებების ცოფისა და ჯილეხის შემთხვევაში-საქონლის სიკვდილის გამომწვევი მიზეზის შესახებ სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ლაბორატორიის მიერ გაცემული ლაბორატორიული გამოცდის ოქმი (მკვდარი საქონლის საყურე ნიშანზე არსებული ნომრის მითითებით).

4) გარეული მტაცებელი ცხოველების თავდასხმის შედეგად გამოწვეული სიკვდილის შემთხვევაში- ადგილობრივი თვითმართველობის და/ან ვეტერინარი ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი ან/და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, ცხოველის საყურე ნიშანზე არსებული ნომრის მითითებით და ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტო მასალა.

5) ქირურგიული დაავადებების შემთხვევაში რომელთა მკურნალობა ეკონომიკურად არ არის გამართლებული ან/და არის სიცოცხლისათვის შეუთავსებელი (მოტეხილობა, დაჟეჟილობა, ჭრილობები, თიაქარი)- წარმოდგენილი უნდა იქნეს ვეტერინარი ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი, საქონლის საყურე ნიშანზე არსებული ნომრის მითითებით და ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტო მასალა.

6) ტრავმული პერიკარდიტის შემთხვევაში, რომელსაც იწვევს ლითონის ლურსმანი, მავთული და სხვა მჭრელი/ბასრი საგნების გადაყლაპვა- წარმოდგენილი უნდა იქნეს ვეტერინარი ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი, საქონლის საყურე ნიშანზე არსებული ნომრის მითითებით და ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტო მასალა.

7) ტიმპანიის შემთხვევაში, რომელსაც იწვევს სველი იონჯას და სხვა პარკოსნების, ახალი ბალახის საკვებად გამოყენება- წარმოდგენილი უნდა იქნეს ვეტერინარი ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი, საქონლის საყურე ნიშანზე არსებული ნომრის მითითებით და ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტო მასალა.

8) გართულებული გინეკოლოგიური დაავადებების შემთხვევაში (გართულებული მშობიარობა, საშვილოსნოს გამოვარდნა, საშვილოსნოს ყელის გახევა, საშვილოსნოს გახევა)- წარმოდგენილი უნდა იქნეს ვეტერინარი ექიმის მიერ გაცემული დოკუმენტი, საქონლის საყურე ნიშანზე არსებული ნომრის მითითებით და ამ ფაქტის დამადასტურებელი ფოტო მასალა.

9) წინამდებარე პირობების 5.6. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დამზღვევის მხრიდან დაუცველობა გამოიწვევს სადაზღვევო ანაზღაურების ვალდებულებისაგან მზღვეველის გათავისუფლებას

5.7. პოლისის ძალის დაკარგვა

ა) თუ პრეტენზია რაიმე თვალსაზრისით ყალბია, ან თუ რაიმე სახის ცრუ განცხადებაა გაკეთებული ან გამოყენებული მის გასამყარებლად, ან თუ რაიმე სახის თაღლითური საშუალებები ან მოწყობილობებია გამოყენებული დამზღვევის, ან მისი სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ ამ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებული სარგებლის მისაღებად, ან თუ ზარალი გამოწვეულია დამზღვევის შეგნებული ქმედებით ან მისი მხარდაჭერით, ამ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი სარგებლის მიღების უფლება ძალადაკარგულად ჩაითვლება.

ბ) თუ დამზღვევი ან ნებისმიერი პირი, რომელიც მისი სახელით მოქმედებს, არ ასრულებს მზღვეველის მოთხოვნებს, ან აფერხებს, ან ხელს უშლის მზღვეველს ამ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებაში, ამ სადაზღვევო პირობებით გათვალისწინებული ნებისმიერი სარგებლის მიღების უფლება ძალადაკარგულად ჩაითვლება.

5.8. გადარჩენილი ქონება

დამზღვევი ვალდებულია, ყველა გონივრული ზომები იხმაროს ზარალის მინიმიზირებისათვის ან თავიდან ასაცილებლად. ამასთან დამზღვევი, მზღვეველთან შეთანხმებით, განკარგავს გადარჩენილ ქონებას (საუკეთესო შესაძლებელი გზით) მათ შორის რეალიზაციის გზით, ხოლო რეალიზაციიდან მიღებული თანხა აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას.

5.9. გაყიდვა, გირავნობა, ყადაღა და მეურვეობა

თუ ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული წინამდებარე პირობებში, ან დანართის სახით არ არის დართული, ამ პოლისით არანაირი თანხა არ იქნება გადახდილი ზარალის ანაზღაურების, კომპენსაციის ან სხვა სახით იმ საქონელისათვის, რომელიც პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში:

ა) დამზღვევმა გაყიდა ან სხვაგვარად გაასხვისა რაიმე ინტერესით, დროებით თუ მუდმივად, ან

ბ) გირავნობის საგანია, უზრუნველყოფის საშუალებაა, ყადაღის ან მეურვეობის ქვეშაა ან იმყოფება (დამზღვევის ან ნებისმიერი სხვა პირის) მინდობილობის, ქირავნობის ქვეშ ან როგორც გასაყიდი საქონელი.

თუკი საქონელი გაიყიდა, მასზე დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დროებით რჩება დაზღვეულ ადგილმდებარეობაზე. თუმცა იმ პირობით, რომ ასეთ პირუტყვს ისევე გაუფრთხილდებიან, როგორც გაუყიდავ პირუტყვს.

5.10. შეტყობინება

ამ პირობებით გათვალისწინებული ყველა შეტყობინება მზღვეველს უნდა მიეწოდოს სს “სადაზღვევო კომპანია უნისონის” “სადაზღვევო კომპანიას 24 საათიან ცხელ ხაზზე: 032 2 991 991.

შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ უნდა დაფიქსირდეს არაუგვიანეს სადაზღვევო შემთხვევის დაფიქსირებიდან 24 საათში;

6. მოცდის პერიოდი და დაზღვევის მოქმედების ვადები

6.1. წინამდებარე დაზღვევა ძალაში შედის პოლისის გაცემიდან 21-ე დღეს. საქართველოში ახლად იმპორტირებული საქონლის (საქონელი, რომელიც ქვეყანაში შემოვიდა ექსპორტიორი ქვეყნიდან, რომლის იმპორტის მომენტიდან გასულია მინიმუმ 30 კალენდარული დღე და რომელსაც გავლილი აქვს საკარანტინო კონტროლი) შემთხვევაში კი მოცდის პერიოდი შეადგენს 28-დღიან უწყვეტ კალენდარულ პერიოდს, რომლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო რისკის შედეგად მიყენებული ზიანი/დანაკარგი არ ექვემდებარება ანაზღაურებას

6.2. დაზღვევის ვადა აღინიშნება პოლისში. დაზღვევა იწყება ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე და მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის ოცდაოთხ საათზე მოცდის პერიოდის გათალისწინებით.

6.3. სადაზღვევო პერიოდის ამოწურვის შემდეგ მზღვეველი არცერთ შემთხვევაში არანაირ ზარალზე პასუხისმგებელი არ არის.

7. გამონაკლისები

7.1. წინამდებარე პირობებისა და მის საფუძველზე გაცემული პოლისით არ იფარება (თუ მზღვეველსა და დამზღვევს შორის სხვა შეთანხმება არ არსებობს და ამის შესახებ პოლისში არ არის მითითებული) საქონლის სიკვდილი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად წარმოიშობა ან გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

- **ცხოველთა ჩვენებები და გამოფენების დროს დამდგარი შემთხვევები** - ეს დაზღვევა არ ფარავს ჩვენებებზე და/ან გამოფენებზე, ცხოველებზე დამდგარ ნებისმიერი სახის შემთხვევებს,
- **განზრახ არასწორი ქმედება** - ცხოველების ბოროტგანზრახული თუ შეგნებული დაზიანება/დასახიჩრება, დაუდევრობა, გადატვირთვა/გადაღლა, შეუსაბამოდ გამოყენება წინამდებარე პირობებში მითითებულისაგან განსხვავებული მიზნებით, მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- **უბედური შემთხვევები პოლისის დაწყებამდე** - დაზღვევის ძალაში შესვლამდე მომხდარი უბედური შემთხვევები და/ან ამ პოლისით გაუთვალისწინებელი შემთხვევები. ქურდობა, გარეული ცხოველების თავდაცხმით გამოწვეული სიკვდილი, ქირურგიული დაავადებები, გართულებული გინეკოლოგიური დაავადებები, ტრამვეული პერიკარდიტი, ტიმპანია და სხვა.
- **შიმშილი ან არასწორი კვება**
- **ზოგადი მოწამვლა** - მდარე ხარისხის, ან ვადაგასული საკვები დანამატებით, ვიტამინებით, ვეტერინარული ან სამედიცინო პრეპარატებით, შხამქიმიკატებით, სასუქითა და პესტიციდებით მოწამვლა.
- **საკვებით მოწამვლა** - საქონელის ზარალი ან სიკვდილიანობა, რომელიც მიეკუთვნება საკვებით მოწამვლას ან საკვებთან დაკავშირებულ დაავადებებს, რომლებიც გამოწვეულია საკვების არასწორი შემადგენლობით ან მისი არასწორი შენახვით.
- **მკურნალობა** - ნებისმიერი სახის მკურნალობის შემდგომ გამოწვეული სიკვდილი (თუ ის ჩატარებული არ არის სადაზღვევო რისკებით გათვალისწინებული შემთხვევების არიდების მიზნით).
- **ბირთვული დაბინძურება** - უბედური შემთხვევა, ზარალი, ნგრევა, დაზიანება, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად არის გამოწვეული ან წარმოქმნილი მაიონიზებული გამოსხივებით, ან ნებისმიერი ბირთვული საწვავით ან მისი წვის ნარჩენებით რადიოაქტიური დაბინძურებით, ან ნებისმიერი ბირთვული დანადგარის ან მისი შემადგენელი ბირთვული კომპონენტების რადიოაქტიური ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა საშიში თვისებებით.
- **გამოხშირვა** - არაპროდუქტიული ცხოველების შეგნებული განადგურება.
- **ომი და ტერორიზმი** - ომი, შეჭრა, გარეშე მტრების ქმედებები, მტრული მოქმედებები (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, ამბოხება, სამხედრო თუ უზურპირებული ხელისუფლება, არეულობები, გაფიცვები, სამოქალაქო მღელვარებები, საბოტაჟი, ტერორიზმი. ამ პირობების მიხედვით ტერორიზმი ნიშნავს ქმედებას, რომელიც შეიცავს ძალადობას ან ძალადობის მუქარას, ან ქმედებას, რომელიც საზიანო ადამიანის სიცოცხლისათვის, მატერიალური თუ არამატერიალური ქონებისათვის და ინფრასტრუქტურისათვის, რომელიც განზრახულია ნებისმიერ მთავრობაზე ზემოქმედების მოსახდენად, ან საზოგადოების, ან მისი ნაწილის დასაშინებლად. ნებისმიერი სასამართლო თუ სხვა განხილვისას, სადაც მზღვეველი ამტკიცებს, რომ ამ

დეფინიციის თანახმად ზარალი, ზიანი ან ხარჯები ამ პირობების მიხედვით არ იფარება, საპირისპიროს მტკიცების ტვირთი დამზღვევს ეკისრება. იმ შემთხვევაში, თუ ამ დებულების რომელიმე ნაწილი ძალადაკარგულად ან განუხორციელებლად ჩაითვლება, დარჩენილი ნაწილი სრულად ინარჩუნებს ძალას და მოქმედებს.

• **კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია ან რეკვიზიცია** - უშუალოდ ან ბრძანების მიხედვით განხორციელებული ნებისმიერი მთავრობის მიერ, საჯარო თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, ან ნებისმიერი პირის ან ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს ან იჩემებს შესაბამის უფლებამოსილებას.

7.2. მიზეზები:

- საქონლის ტრანსპორტირება ან საქონლის ტრანსპორტირებისას გამოწვეული ზარალი;
- აუხსნელი/უკვალო გაქრობა/გაუჩინარება ან გაქცევა;
- იმპოტენცია და სტერილურობა;
- არაადეკვატური წველადობა;
- მემკვიდრობითი დეფექტები და მემკვიდრობითი დაავადებები;
- აბორტი, ჩაკირული ნაყოფი, მუმიფიცირებული ნაყოფი და მკვდარი ნაყოფი;
- მკურნალობის ხარჯები;
- წყლის ტუმბოების დაზიანებასთან/არარსებობასთან და/ან წყლის ნაკლებობასთან დაკავშირებული ხარჯები;
- სახანძრო რაზმთან, პოლიციასთან და სხვა გადაუდებელ სამსახურებთან დაკავშირებული ხარჯები;
- ქვეწარმავლებისაგან, ობობასნაირთა კლასის წარმომადგენლის, მწერების, მღრნელების მიერ გამოწვეული დანაკარგი/სიკვდილიანობა;
- პოლისში დაფიქსირებული საქონლის მაიდენტიფიცირებელი საყურის მზღვეველისათვის წარუდგენლობის, საყურის ან საყურეების მოხსნის, დაზიანების ან ამდაგვარის მცდელობის შემთხვევები;

8. სადაზღვევო პრემია და გადახდის წესი

8.1. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესი და ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი პოლისით.

8.2. სადაზღვევო პრემიას „დაზღვეული“ იხდის განვადების წესით ყოველთვიურად მაქსიმუმ 12 თვის ვადაში, პირველი თვის შესატანი და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება სადაზღვევო პოლისით;

8.3. პირველი და ბოლო თვის სადაზღვევო პრემია (სადაზღვევო პრემიის პირველი ნაწილი) გადახდილ უნდა იქნას წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო

დარჩენილი პრემიის ოდენობა პროპორციულად განაწილება შემდეგი თვეებზე, თანაბარი დაყოფის პრინციპით

8.4. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია (ასეთის გადახდის შემთხვევაში) არ ექვემდებარება დაბრუნებას, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული პოლისის მოქმედება ვადაზე ადრე შეწყდება ნებისმიერი მიზეზით.

8.5. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, გასაცემ ანაზღაურებას აკლდება გრაფიკით გადასახდელი პრემიის ოდენობა სრულად.

8.6. დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პრემიის გადახდის წესის პირველივე დარღვევის შემთხვევაში (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი) მზღვეველი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება და არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევები გრაფიკის დარღვევის დღიდან 14 კალენდარული დღის შემდეგ, ყოველგვარი შეტყობინების გარეშე, დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლება მხოლოდ დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დაფარვის შემდგომ მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევად და ამ პერიოდში დამდგარი მომსახურება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება.

დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ზარალის ანაზღაურება;

8.7. პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

8.8. დამზღვევის ინიციატივით, დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას იგი ყველა შემთხვევაში ვალდებულია წერილობით მომართოს მზღვეველს:

ა) დამზღვევის მხრიდან მისივე ინიციატივით დაზღვევის ვადამდე შეწყვეტის მომენტში, მიუხედავად უზარალო სადაზღვევო პერიოდისა, თუ დამზღვევს წარმოშობილი აქვს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული პრემიის გამომუშავებული ნაწილის გადახდის ვალდებულება, მაშინ დამზღვევმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ვალდებულების შესრულება (დავალიანების დაფარვა) ხელშეკრულების შეწყვეტამდე. ასევე პოლისის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია დააკისროს დამზღვევს პირგასამტეხლოს გადახდა - ჯამური პრემიის 25% ოდენობით;

ბ) თუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე სადაზღვევო პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის გამო გასაცემია დამზღვევზე (მოსარგებლეზე) სადაზღვევო ანაზღაურება, მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოაკლოს შესაბამისი პოლისით განსაზღვრული პრემია სრულად და დარჩენილი ნაწილი გადაუხადოს დამზღვევს.

9. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

ა) წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

ბ) სადაზღვევო თანხის ამოწურვით;

გ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ერთი თვით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

10. კანონმდებლობა და დავების განხილვა

ა) თუ ზემოაღნიშნულ დაზღვევის პირობებში არ არის მითითებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რომელიმე პირობა და არც მისი გამომრიცხველი რაიმე დათქმა, მაშინ ყველა შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა.

მხარეებს შორის დაზღვევიდან გამომდინარე ან დაზღვევასთან დაკავშირებული დავა წარმოიქმნა, ასეთი დავა განსახილველად უნდა გადაეცეს ადგილობრივ სასამართლოს. გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა მხარეებისათვის, რომლებიც თანხმდებიან მის შესრულებაზე.